სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ხელშეკრულება №15

ქ. ბათუმი 28 მაისი 2015 წ.

ერთის მხრივ *სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელი ფერიის საჯარო სკოლა* (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი *დირექტორის ლეილა დუმბაძის* სახით და მეორეს მხრივ, *შპს "აუდიტსერვისის" სახით,* სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ფერიის საჯარო სკოლის ოჯარით გასაცემი ქონების აუდიტორული შეფასება .

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 150 (ასორმოცდაათი) ლარს.

2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ან მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. ანგარიშსწორება განხორციელდება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფაქტიურად მოწოდებული საქონლის ან/და მომსახურების შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტის ან/და შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ 2 (ორი) საბანკო დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 მომსახურება შესრულებულად ჩაითვლება შესაბამისი სასაქონლო ზედნადების გაფორმების შემდეგ.

4.2 მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები, რომლებიც აფორმებენ შესაბამის ზედნადების ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით.

4.3 სასაქონლო ზედდებულის საფუძველზე შემსყიდველი ახდენს ანგარიშსწორებას მიმწოდებლისაგან შესრულებულ სამუშაოზე.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მოწოდებული საქონლის ან მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ან მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს *ფერიის საჯარო სკოლის დირექტორი.*

6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული საქონლის მიწოდების ან მომსახურების ხარისხის კონტროლს.

6.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

7.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაშიმეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

9.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს *2015 წლის 31 დეკემბრამდე*

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„დამკვეთი“

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის
ფერიის საჯარო სკოლა

დირექტორი: /ლ. დუმბაძე/

(ხელმოწერა)

„შემსრულებელი"

შპს" აუდიტსერვისი"
მის: ბათუმი აღმაშენებლის ქ №13
ს/კ 445392762

ს.ს. საქართველოს ბანკი

ბ/კ BAGAGE22
ანგ№ GE52BG0000000916122000

დირექტორი : /დ. მიქელაძე /

(ხელმოწერა)

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

სოფელი ფერია 28 მაისი 2015 წელი

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე–8 მუხლის შესაბამისად ჩვენ ხელის მოწერით ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერიის საჯარო სკოლისა და შპს,,აუდიტსერვის''-ს შორის გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №14 (28/05/2015 წ.) ხელშეკრულებით განსაზღვრულ შესყიდვის ობიექტის შესყიდვის განხორციელებაში (გამარტივებული შესყიდვა) არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის

სოფელ ფერიის საჯარო სკოლის

დირექტორი /ლ. დუმბაძე/

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის

სოფელ ფერიის საჯარო სკოლის

დირექტორის მოადგილე /თ.ბერიძე/

მიღება ჩაბარების აქტი

ქ. ბათუმი 01 ივნისი 2015 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ *სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერიის საჯარო სკოლა* (შემდგომში „დამკვეთი") წარმოდგენილი *დირექტორის ლეილა დუმბაძის* სახით და მეორეს მხრივ, *შპს "აუდიტსერვისის"* (შემდგომში „შემსრულებელი") წარმოდგენილი დირექტორის დომენტი მიქელაძის *სახით*, ვადგენთ აქტს მასზედ, „შემსრულებელმა" ჩააბარა ხოლო „დამკვეთმა" მიიღო 2015 წლის 28 მაისი გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №15-ის თანახმად შესრულებული სამუშაო.

ა) დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნა № 10.05.15 30 მაისი 2015წ.

აქტი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

„შემსრულებელი"
შ.პ.ს. „აუდიტსერვისი"
ს.კ.№ 445392762

„დამკვეთი"
სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერიის საჯარო სკოლა
ს.კ.№248386697

მისამართი:
ბათუმი. აღმაშენებლის ქ. № 13

/დ. მიქელაძე/

მისამართი:
ხელვაჩაური, სოფელი ფერია

/ლ. დუმბაძე/